ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი დასკვნით და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებებით, რაც ასახულია წარმოდგენილ დადგენილების პროექტში.

აღნიშნული პროექტის ინიციატორი ვარ თავად.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის დებულების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მერის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის მერიის დებულების დასამტკიცებლად წარდგენა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში: **მარიამ დოლიძე**